



მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულის მსოფლიო კინო ეკლექტური, მრავალფეროვანი, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული ავტორებითა და ფილმებით გამოირჩევა. 1990-იან წლებში ჰოლივუდში, ასპარეზზე დამოუკიდებელი ამერიკული კინოს რამდენიმე მნიშვნელოვანი ავტორი გამოდის: ქვენთინ ტარანტინო, სტივენ სოდერბერგი, ჯიმ ჯარმუში, ძმები კოენები. მათი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული, ინდივიდუალური სტილი შემდგომ წლებში მნიშვნელოვნად განსაზღვარავს საავტორო თუ მეინსტრიმული კინოს სივრცეს.

ევროპულ სივრცეში, 1990-იან წლებში თავისი შემოქმედების პირველ ფილმებს ქმნის, ესპანელი პედრო ალმოდოვარი, რომელმაც ფილმების თემად გენდერული საკითხები, უმცირესობებისა და მარგინალების საკითხები აირჩია, რის შესახებაც მისთვის დამახასიათებელი ფერადოვანი კადრის კომპოზიციით, ფავორიტი მსახიობებითა და დასამახსოვრებელი მუსიკით ჰყვება. ამ ათწლეულში ევროპულ კინემატოგრაფში არაერთი საინტერესო ფილმი შეიქმნა: ბრიტანელი ავტორის მაიკლის ფილმი „შიშველი“, ფრანგი კლოდ შაბროლის „ცერემონია“, პოლონელი ქშიშტოფ კიშლოვსკის „ვერონიკას ორმაგი ცხოვრება“ („სამი ფერი: წითელი, თეთრი, ლურჯი“), დანიელი ავტორის ლარს ფონ ტრიერის ახალი კინომიმდინარეობა „დოგმა 95“, ბრიტანელი დენი ბოილის „ნემსზე“ , უნგრელი რეჟისორის ბელა ტარის „სატანტანგო“, გერმანელი ტომ ტიკვერის „გაიქეცი ლოლა გაიქეცი“ და ძმები დარდენების „როზეტა“.

1990-იან წლებში საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს, დამოუკიდებელ საქართველოში აფხაზეთის და სამაჩაბლოს ომებს, დაკარგულ ტერიტორიებს, თბილისის ომიც დაემატა. ცხადია, სოციალურ-პოლიტიკური პერიპეტეიები ადამიანთა ყოფასა და მათ სულიერ მდგომარეობაზე მტკივნეულად აისახა. რეჟისორები ცდილობდნენ დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში ყველა ის თემა, საკითხი, პრობლემა ფილმების მთავარ თემად ექციათ, რაც 90-იანების რეალობაში მათ ირგვლივ იყო. ამ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ვითარებაში, 1994 წელს, ნანა ჯანელიძე იღებს იაკობ გოგებაშვილის ნაწარმოების ეკრანიზაციას „იავნანამ რა ჰმნა“, ეს ფილმი ერთგვარად რეალობისგან გაქცევის საშუალება ხდება და მაყურებელს იმედიან, ლამაზ სამყაროში აბრუნებს.

თუმცა საზოგადოებისთვის მტკივნეულ, მძიმე თემებს ეხება ამ პერიოდში შექმნილი ფილმების უმრავლესობა, თითქმის გაქრა კომედია და ფილმები სიყვარულზე. პოსტსაბჭოთა ქართულ კინოში იმედეგაცრუება და პესიმიზმი წამყვანი ლაიტმოტივი ხდება. თუ საბჭოთა რეჟიმის პირობებში ფილმის გმირები რეალობის მიმართ

პროტესტს გამოთქვამდნენ და "რკინის ფარდის" გარღვევა სურდათ, 1990-იანი წლების ფილმებში, გმირი არ ცდილობს არსებული რეალობის გაპროტესტებას, მის შეცვლას, ახლის დაწყებას. აქ უიმედო განწყობაა დომინანტი.

ამ პერიოდში არაერთი ძალიან საინტერესო ნამუშევარი შეიქმნა. მათ შორის – გიო მგელაძის „არა, მეგობარო!“ (1993), ლევან ზაქარეიშვილის „ისინი“ (1992), ზაზა ხალვაშის „იქ-ჩემთან“ (1991), მიმა კალატოზიშვილის (უმცროსი) „რჩეული“ (1991), დათო ჯანელიძის „ციხე-სიმაგრე“, თემურ ბაბლიანის „უძინართა მზე“ (1992), რომელმაც ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე „ვერცხლის დათვი“ დაიმსახურა. ფილმი სოციალური კონფლიქტების ფონზე ზნეობრივი პრობლემების შესახებ საუბრობს და უსასოოდ დარჩენილ საზოგადოებას იმედის სხივს უჩენს.

1990-იან წლებში ასპარეზზე გამოსულ ახალგაზრდა ავტორებს ხშირად საკუთარი ენთუზიაზმისა და მონდომების ხარჯზე უწევდათ ფილმების გადაღება და ზოგჯერ ერთი ფილმის გადასაღები პროცესი რამდენიმე წელსაც კი გრძელდებოდა. პირველი ფილმი, რომელმაც გარკვეულწილად საკუთარი პოზიცია დააფიქსირა და მაყურებელი დააფიქრა იმ ყველაფერზე, რაც საზოგადოებაში ხდებოდა, იყო დიტო ცინცაძის „ზღვარზე“. დიტო ცინცაძე რეჟისორის პროფესიას თეატრალურ ინსტიტუტში დაეუფლა, მისი პედაგოგები ქართველი კინოკლასიკოსები ელდარ შენგელაია და ოთარ იოსელიანი იყვნენ, მან როგორც რეჟისორმა და სცენარისტმა კინოში მუშაობა 1988 წელს დაიწყო.

1993 წელს, დიტო ცინცაძე იღებს მისი შემოქმედების ერთ-ერთ გამორჩეულ ფილმს „ზღვარზე“ ფილმი ლოკარნოს კინოფესტივალზე ვერცხლის ლეოპარდის მფლობელი გახდა. ფილმის გმირი ახალგაზრდა მამაკაცია, რომელიც ზღვარზეა მისული და სწორედ ამიტომ არის საზოგადოებისთვის ყველაზე საშიში, რადგან არ იცის როგორ მოიქცევა და რას მოიმოქმედებს. იგი თითქოს არაფერში ერევა, თითქოს არავის მხარეს არის, ნეიტრალიტეტი უჭირავს და ასე ზღვარზე მყოფი ადამიანი საბედისწერო ნაბიჯს გადადგამს, იარაღს იღებს და უმისამართოდ ისვრის. აი ეს უმისამართოდ გასროლა იყო გარკვეულწილად 90-იანი წლების ქართული საზოგადოების სახე და ყველაზე დიდი ტრაგედია.

დიტო ცინცაძემ მაქსიმალური სიზუსტით ასახა ფილმში „ზღვარზე“ ის რეალობა და ატმოსფერო რაც ქვეყანაში იყო. ეკრანზე ვხედავთ 90-იანების საქართველოს, სადაც ქაოსმა, განუკითხაობამ და ძალადობამ დაისადგურა. ბავშვობის მეგობრები იარაღმომარჯვებულნი, ერთმანეთის მტრად იქცნენ საკუთარი „სიმართლის დასაცავად“.

რეჟისორი ცდილობს გაანალიზოს, რა მოხდა ქართულ საზოგადოებაში, რატომ გაიყო სოციუმი, საზოგადოება ორ ნაწილად, რა აკავშირებდა დაპირისპირებულ მხარეებს და რა განასხვავებდა მათ, ვის მხარეზე იყო სიმართლე სამოქალაქო დაპირისპირების დროს, ან საერთოდ იყო თუ არა სიმართლე როგორც ასეთი?!

ფილმის „ზღვარზე“ გადაღების შემდეგ, რეჟისორი საცხოვრებლად და სამუშაოდ გერმანიაში გადავიდა. სწორედ მისი პირადი გერმანულ-ქართული გამოცდილება გახდა ფილმ „დაკარგული მკვლელების“ შექმნის ინსპირაცია. ფილმის პროტაგონისტები სხვადასხვა ქვეყნის ემიგრანტები არიან. „დაკარგული მკვლელები“ 2000 წელს კანის კინოფესტივალზეც აჩვენეს.

საქართველოში კი 1990-იანებში დაწყებული კინოპროცესები, სულ რამდენიმე წელში კრიზისულ ფაზაში შევიდა, ახალი პოსტსაბჭოთა ქართული კინო კინოწარმოება სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე იქმნებოდა.

Co-funded by the
European Union



Creative
Europe
MEDIA